



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N16

ქ. ახალციხე

20 მარტი 2015 წლის

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 108-ე მუხლის და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მომართვის N5/8749 17,02,2015წ საფუძველზე ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობას უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფოს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება: ვალე, რუსთაველის ქ. N2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 3000,00 კვ.მ და მასზე დამაგრებული ობიექტი N1(სახანძრო) ფართით 202,3 კვ.მ, ობიექტი N2 (სახანძრო) ფართით 178,1 კვ.მ, ობიექტი N3 (ყოფილი სათავსო) განაშენიანების ფართი 19,7 კვ.მ, ობიექტი N4 (საწვავის საწყობი) განაშენიანების ფართით 11,1 კვ.მ, ობიექტი N5 (ფანჩატური) განაშენიანების ფართი 6,6 კვ.მ , ობიექტი N6 (რეზერვუარი) განაშენიანების ფართით 4,1 კვ.მ, ობიექტი N7 (რეზერვუარი) განაშენიანების ფართი 2,9 კვ.მ . მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N62.15.53.202.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მეზღვრის ქ. N62).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე